



# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის  
მარტის 1.

№ 4

განყოფილება პირველი

ა/კსფსრ სახალ. კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართვე-  
ლობის მიერ გამოცემული.

## შ ი ნ ა რ ს ი:

- მუხ. 26. საჩივართა დავთრებისა და ყუთების შესახებ.
- „ 27. საკრედიტო დაწესებულებებისა, სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა, სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაზე მყოფი დაწესებულებებისა, შემნახველი საღაროებისა, სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური აპარატებისა და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალური სამმართველოთა აპარატების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმების შესახებ,
- „ 28. იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ა/კსფსრ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს განახორციელონ ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1927/28 წლის ცენზიანი მრეწველობის საერთო-საკავშირო წლიური გამოკვლევა „ბ“ ბლანკის მიხედვით.
- „ 29. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ მახრებს შორის მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა საკითხის თაობაზე“ 1927 წ. თებერვლის 18-ს მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- „ 30. ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მიერ „თხიერი მინერალური სათბობისა და მცენარეულობის ზეთულის ცალობითი გაცემისათვის ტვეადობის საზომთა გამოყენების ნებადართვის თაობაზე“ 1928 წ. სექტემბრის 8-ს თარიღით და 23 №-ით გამოცემული სავალდებულო დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- „ 31. „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ გამოცემული ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 19-ს დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.
- „ 32. ინსტრუქცია ა/კსფსრ საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის დაკრედიტების პრინციპებისა და ფორმების შესახებ.
- „ 33. დებულება ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.
- „ 34. სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების წესებისა და სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის დანიშნულ სახსართა განაწილებისა და მოძრაობის დასაჩქარებლად ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

## დადგენილება № 8/2 ა/კსუსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. იანვრის 29.

### 26. საჩივართა დავთრებისა და ყუთების შესახებ.

„სავაჭრო საწარმოში საჩივართა დავთრების შემოღების შესახებ“ 1927 წ. სექტემბრის 7-ს თარიღითა და 22 №-ით გამოცემული (აკსუსრ კან. კრ. 1928 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 10) დადგენილების შეცვლისა და დამატებისათვის ა/კსუსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საჩივართა დავთარს მომჩივანს წარუდგენს საწარმოს ყველა თანამშრომელი პირველსავე მოთხოვნისათანავე.

2. უკეთუ საწარმოს თანამშრომლები უარს განაცხადებენ საჩივართა დავთრის მიცემაზე, მომჩივანმა უნდა მიმართოს საწარმოს გამგეს; ხოლო, უკეთუ ისიც უარს განაცხადებს,—მომჩივანი მიმართავს მილიციას, რომელიც შეადგენს სათანადო აქტს და ვაჭვზავნის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოში ან საწარმოს გამგეობაში.

3. კატეგორიულად აკრძალულია მოეთხოვოს მომჩივანს რაიმე დოკუმენტების წარდგენა, აგრეთვე რისამე გამოკითხვა საჩივართა დავთრის გადაცემის დროს.

4. მაღაზიის გამგე ან მისი მენაცვლე პირი მოვალეა ყოველდღე შეამოწმოს საჩივართა დავთარი და მიიღოს შემოსულ საჩივართა გამო საჭირო ღონისძიება. უკეთუ საჩივარი გამგეზეა, იგი (თავისი პასუხისმგებლობით) საჩივარს საწარმოს გამგეობაში ვაჭვზავნის.

5. საჩივრის შედეგი, არა უგვიანეს ორი კვირისა საჩივრის შეტანის დღიდან, საჩივართა დავთარში ჩაწერის გარდა, უნდა დაიწეროს აგრეთვე თვალსაჩინო ადგილას სპეციალურად საამისოდ გამოკიდულ დაფაზე.

6. ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო-სამომხმარებლო საწარმო მოვალეა, საჩივართა დავთრის გარდა, იქონიოს სპეციალური ყუთი საჩივრებისათვის. ეს ყუთი მაგარი მასალისაგან უნდა იყოს გაკეთებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკიდული.

7. ყუთის გასაღები უნდა ჰქონდეს დუქნის კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც კვირაში ორჯერ მინც გააღებს ყუთს და შეადგენს აქტს, სადაც აღნიშნავს საჩივრების რაოდენობას და მოკლე შინაარსს. დუქნის კომისიის თავმჯდომარე, საწარმოს გამგესთან ან მის მენაცვლე პირთან ერთად, განიხილავს ყველა საჩივარს და თავის მოსაზრებას საჩივართა შინაარსის შესახებ, აქტითა და თვით საჩივრებითურთ, გამგის მეშვეობით, ვაჭვზავნის საწარმოს გამგეობაში.

8. საჩივრის შედეგი გამოცხადებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნულ ვადაზე და წესით.

9. იმ ადგილს ზევით, სადაც მოთავსებულია საჩივართა ყუთი, ან თვით ყუთზე უნდა იყოს წარწერა: „საჩივრებისათვის“ და აგრეთვე ამა დადგენილების ასლი.

10. წინადადება ეძლევა დუქნის კომისიებს ჩაატარონ მომხმარებელთა შორის ახსნა-განმარტების კამპანია საჩივართა დავთრისა და ყუთის მნიშვნელობის შესახებ და თვალყური ადევნონ, რათა მაქსიმალურად გაადვილებულ იქნეს საჩივართა დავთრის მოხმარება.

11. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ლესპუბლიკებში—პერიოდულად შემოწმონ ხოლმე საჩივართა დავთრებისა და ყუთების მდგომარეობა.

12. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს, დაჯარიმების გარდა, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრიის მოადგილე **გაჯინსკი**.

საადმ.-საორგ. სამმართველოს უფროსი **ეგიაევი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 38 №-ში 1929 წ. თებერვლის 16-ს.

## დადგენილება № 103 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**27.** საკრედიტო დაწესებულებებისა, სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა, სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაზე მყოფი დაწესებულებებისა, შემნახველი სალაროებისა, სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური აპარატებისა და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალური სამმართველოთა აპარატების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განხორციელებულ იქნეს ქვემოთ დასახელებულ დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმების სისტემა (სათანამდებობო ჯამაგირების სისტემა):

ა) საკრედიტო დაწესებულებებისა, სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა, შემნახველი სალაროებისა და სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაზე მყოფი დაწესებულებებისა—1929 წ. აპრილის 1-დან.

ბ) სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური აპარატებისა და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალური სამმართველოთა აპარატებისა—1929 წ. ივნისის 1-დან.

2. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა განხორციელდება სამუშაო ხელფასის ფონდების ფარგლებში, რაც დამტკიცებულია 1928-29 საბიუჯეტო წლისთვის აღნიშნულ დაწესებულებათა ხარჯალრიცხვებით.

3. სახელმწიფოებრივი დანორმვა განხორციელდება არსებული შტატების საფუძველზე იმ სათანამდებობო სასყიდლის მიხედვით, რაც განსაზღვრულია ან პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმების წესით (კოლექტიური ხელშეკრულება თუ სატარიფო შეთანხმება), ან და რაც ფაქტიურად გაცემულ იქნა თვითიული თანამდებობისათვის ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში; ამასთანავე, სახელმწიფოებრივმა დანორმვამ არ უნდა გამოიწვიოს სამუშაო ხელფასის შემცირება თანამშრომელთა რამდენადმე თვალსაჩინო რიცხვისათვის.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა აღმინისტრაცია, სათანადო პროფესიონალურ კავშირებთან ერთად, შეიმუშავებს, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიწოდებული თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით, საშტატო-საჯამაგრო ნუსხებს.

5. საამიერკავკასიო მნიშვნელობის საკრედიტო დაწესებულებებში, სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაზე მყოფ დაწესებულებებში, სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალურ აპარატებში და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალურ სამმართველობო აპარატებში, აგრეთვე სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებში და შენახველ სალაროებში შტატებს განსაზღვრავს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის საკრედიტო დაწესებულებებში, სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაზე მყოფ დაწესებულებებში, სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალურ აპარატებში შტატებს განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური აპარატების შტატებს განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეთრნეობის უმაღლესი საბჭო.

6. თვითიული საშტატო თანამდებობისათვის ჯამაგირს განსაზღვრავს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი, კუთვნილებისმებრ, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, დაინტერებული უწყებისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის მონაწილეობით.

7. საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებათა რესპუბლიკანური ორგანოების შტატებსა და ჯამაგირებს შეიმუშავებენ წინასწარ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და შრომის სახალხო კომისარიატი და შეთანხმებენ სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელთან ცენტრში.

8. სამუშაო ხელფასის კრედიტებში, სათანამდებობო ჯამაგირების გასაცემად საჭირო ხარჯების გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხარჯი: სათანამდებობო ჯამაგირების პერსონალური ზედნართების გასაცემად, ზედმეტი მუშა-



ობის სასყიდლის გასაცემად, გამოსავლელი დახმარების გასაცემად, შევებულება-ში მყოფ მომუშავეთა მენაცვლე პირების დასაქირავებლად და დროებითი მომუშავეების დასაქირავებლად.

აღნიშნული დამატებითი ხარჯები სამუშაო ხელფასისა გამოანგარიშებულუნდა იქნეს იმ დაწესებულებების საამიზნო ნამდვილ მოთხოვნილებათა ფარგლებში, სადაც დანორმვა ხორციელდება.

9. სამუშაო ხელფასის ნაშთი, რაც შედგება შტატების სრულ კომპლექტამდე შეუვსებლობისა, დამზღვევ სალაროზე ავადმყოფთა გადაყვანისა და სხვა რამ გარემოების გამო, არ შეიძლება დაიხარჯოს სამუშაო ხელფასზე ან დამატებითი ხასიათის გასამრჯელოზე გარეშე იმ ჯამაგირებისა და დამატებითი ხასის გასამრჯელოს ფონდებისა, რაც დაწესებულია ამა დადგენილების მე-5, 6 და 8 მუხლების თანახმად; აგრეთვე არ შეიძლება დაიხარჯოს საადმინისტრაციო-სამეურნეო მმართველობის საქიროებისათვის.

10. ამა დადგენილების მე-5 და 6 მუხ. წესისამებრ განსაზღვრული შტატები და ჯამაგირები არ შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ მხრით და ყოველი ცვლილება შეიძლება მოხდეს მარტოდენ: შტატების მიმართ—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებართვით, ხოლო ჯამაგირების მიმართ—შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

11. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუსეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. თებერვლის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 42 №-ში 1929 წ. თებერვლის 21.

## ცირკულიარი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**28.** იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ა/კსფსრ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს—განახორციელონ ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1927-28 წლის ცენზიანი მრეწველობის საერთო-საკავშირო წლიური გამოკვლევა „ბ“ ბლანკის მიხედვით.

რადგანაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს 1927-28 წლის ცენზიანი მრეწველობის განზრახულ წლიურ გამოკვლევას „ბ“ ბლანკის თანახმად,—განსაკუთრებით

იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია სამრეწველო საწარმოთა ძალების აპარატი და ელექტროენერჯის ბალანსი, სახალხო მეურნეობის მოწესრიგებისა და დაგეგმვის მიზნით, — ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა, გამოუნაკლისად, ცენზიან სამრეწველო დაწესებულებას, რომლის შედგენილობაშიაც შედის ცენზიანი სამრეწველო საწარმო ა/კფსრს ტერიტორიაზე, წარუდგინოს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს, მათ მიერ დაწესებულ ვადაზე, 1927-28 წლის ცნობებით შევსებული „ბ“ ბლანკი და მიიღოს სათანადო ღონისძიება „ბ“ ბლანკის სისწორით შევსებისათვის.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „ბ“ ბლანკის იმ განყოფილებათა დაწვრილებით შევსებას, რაც ძალების აპარატისა და ელექტროენერჯის ბალანსის აღნუსხვას შეეხება, რისთვისაც ამ სამუშაოში ჩაბმულ უნდა იქნეს სამრეწველო დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა უმაღლესი ტექნიკური პერსონალი.

3. ყველა იმ დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, რომლის კომპეტენციაშიც მრეწველობის ენერჯიფიკაციისა და ელექტროფიკაციის საკითხები შედის, უნდა გაუწიოს ყოველგვარი დახმარება კონსულტაციით, განმარტებით და სხვ. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს და იმ პირებს, ვინც აღნიშნულ გამოკვლევას აწარმოებს და მასში მონაწილეობას იღებს, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კი ეს ორგანოები ან პირები მიმართავენ მას.

ა/კფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. თებერვლის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 43 №-ში 1929 წ. თებერვლის 22-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტისა.

**29.** ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ „ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთ მაზრებს შორის მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა საკითხის თაობაზე“ 1929 წ. თებერვლის 18-ს მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ცნობილ იქნეს, რომ ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზოგიერთი მომიჯნავე მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს შორის მიწისა

და ტყის გამო აღძრული დავის გადაწყვეტა, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1929 წ. თებერვლის 18-ს დადგენილებაში, საბოლოოა.

2. აღნიშნული დადგენილების (მუხ. 1) ადგილობრივ განხორციელება დაეკისროს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა გადამწყვეტ კომისიას, რომელსაც დაეკისროს დაამთავროს აღნიშნული სამუშაო არა უგვიანეს 1929 წ. შემოდგომისა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) აუწყონ სათანადო მაზრების დაინტერესებულ მოსახლეობას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული 1929 წ. თებერვლის 18-ს დადგენილება და თანაც განუმარტონ, რომ ეს დადგენილება გამოტანილია ყველა იმ გარემოების ადგილობრივ შესწავლის შემდეგ, რაც საფუძვლად ედვა ამა თუ იმ დავას, თანახმად დაინტერესებული მხარეების მიერ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ პასუხისმგებელ წარმომადგენელთა და მათ სათავეში მდგომ აზერბაიჯანის სსრ-ისა, საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთა ერთხმივი გადაწყვეტილებისა;

ბ) განუმარტონ სათანადო მაზრების დაინტერესებულ მოსახლეობას, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1929 წ. თებერვლის 18-ს მიღებული დადგენილება საბოლოოა, რის გამოც არავითარი განცხადება აღნიშნული დადგენილების გადასინჯვის შესახებ ან ამ დადგენილებით გადაწყვეტილ დავათა ხელახალი განხილვის შესახებ განსახილველად მიღებული არ იქნება;

გ) დაევალოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს გაუწიონ ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მიწისა და ტყის გამო აღძრულ დავათა გადამწყვეტ კომისიას ყოველგვარი დახმარება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრ-მის აღნიშნული—1929 წ. თებერვლის 18-ის—დადგენილების განხორციელების საქმეში,—იმ პირობითა სისხლის სამართლის წესისამებრ პასუხისგებაში მიცემით, ვინც ამას დაარღვევს;

დ) გამოსცენ ამის განსავითარებლად დადგენილებანი, რომლებშიაც გაითვალისწინონ სოციალური დაცვის ღონისძიება იმ დამნაშავე პირობათვის, ვინც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრ-მის ზემოაღნიშნულ—1929 წ. თებერვლის 18-ის—დადგენილებას დაარღვევს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. თებერვლის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 44 №-ში 1929 წ. თებერვლის 23 ს.

## დადგენილება № 3 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. თებერვლის 20.

**30.** ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მიერ „თხიერი მინერალური სათბობისა და მცენარეულობის ზეთეულის ცალობით, გაცემისათვის ტევადობის საზომთა გამოყენების ნებადართვის თაობაზე“ 1927 წ. სექტემბრის 8-ს თარიღითა და 23 №-ით გამოცემული სავალდებულო დადგენილებების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

რათა მცენარეულობის ზეთეულის ცალობით ვაჭრობაში დამყარებულ იქნეს ერთიანი მეთოდი წონის ფასების მოცულობის ფასებზე გადატანისათვის— ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მთლად ა/კსფსრ-ის ტერიტორიისათვის მზეუქვრიტას და ბამბის ზეთის ხვედრითი წონა მიღებულია:

ა) ოქტომბრის 1-დან აპრილის 1-დე (ზამთრის პერიოდი)—0,925;

ბ) აპრილის 1-დან ოქტომბრის 1-დე (ზაფხულის პერიოდი)—0,920.

2. წონის ფასის მოცულობის ფასზე გადასატანად საჭიროა კილოგრამზე არსებული ფასი კაპიკობით გამრავლებულ იქნეს ზამთრისა თუ ზაფხულის პერიოდისათვის დაწესებულ ზეთეულის ხვედრით წონაზე, რაც მოიცემა ამა თუ იმ ზეთის ფასს კაპიკობით არსებული პერიოდის ლიტრზე.

**შენიშვნა.** უკეთუ მიღებულ იქნება წილადობითი სიდიდე, იგი  $\frac{1}{4}$  კაპიკამდე არ იანგარიშება, ხოლო  $\frac{1}{4}$  კაპიკი და მეტი მიიღება  $\frac{1}{2}$  კაპიკად ლიტრზე.

3. ამა დადგენილების გამოცემისთანავე, მცენარეულობის ზეთეულის ცალობით მოვაჭრე ორგანიზაცია მოვალეა, სეზონისათვის დაწესებული ხვედრითი წონის საფუძველზე, გამოჰკიდოს თვალსაჩინო ადგილას როგორც კილოგრამისა, ისე ლიტრის ფასები.

4. მოცულობის საზომით ზეთეულის გაცემა ნებადართულია მხოლოდ 10 ლიტრამდე; 10 ლიტრზე მეტის გაცემა უნდა სწარმოებდეს წონის მეტრული ერთეულებით.

ყიდვის დროს მყიდველს შეუძლიან მოითხოვოს, რომ ზეთეული მიეცეს მას როგორც მოცულობისა, ისე წონის მეტრული ერთეულით.

5. ზეთეულის გაცემა მოცულობის ერთეულით, ისე, რომ წონის ერთეულთან იქნეს გათანაბრებული, ე. ი. ლიტრის კილოგრამად გაცემა აკრძალულია.

6. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების განხორციელებას.



7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის  
მოადგილე **გაჯინსკი.**

საადმინ.-საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი **ეგაიევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 47 №-ში 1929 წ. თებერვლის 28-ს.

## დადგენილება № 105 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**31.** „ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველები-სა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ოქტომბრის 19-ს დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ტყის თვითნებისად მოჭრის აღმოჩენისათვის ტყის მცველებისა და მილიციის პრემიით დაჯილდოების თაობაზე“ გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წლ. მე-13 №-რი, მუხ. 757) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 19-ს დადგენილების მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 3. თვითნებისი მოჭრით მოპოებული ხეტყის მასალა, რაც კონფისკაციის წესით ჩამორთმეული იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის თანახმად, სოფელ ადგილას, რეალიზებულ უნდა იქნეს სათანადო ტყის ადმინისტრაციის მიერ იმ ადგილას, სადაც აღნიშნული მასალა აღმოჩნდება“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ზახტაძე.**

1929 წ. იანვრის 28. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 47 №-ში 1929 წ. თებერვლის 28-ს.

## ინსტრუქცია ა/კფსრ საშინამრეწველო-სასარეწაო კო- ოპერაციის დაკრედიტების პრინციპებისა და ფორმების შესახებ.

### 32.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს გაერთიანებული სხდომის 1128 წ. ნომბრის 22-ს დადგენილების (მე-17 წ-ის და-ნართი, ოქმი № 25) შესასრულებლად ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით სახელმძღვანელოდ იძლევა შემდეგ ინსტრუქციას ა/კფსრ საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის დაკრედიტების პრინციპების შესახებ.

#### ა) საერთო პირობები

1. დამაკრედიტებელმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის ყველა საფეხურისა და დარგის გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტება.

2. დამაკრედიტებელმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები: იმ ა) დარგებისათვის, რომლებიც ამუშავებენ ადგილობრივ ნედლეულს და საშინამრეწველო ხელოსნობის ისეთ სფეროში, სადაც თავმოყრილია ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო უღარბესი მასსები ქალაქისა და, განსაკუთრებით, სოფლის წვრილ მრეწველ-მწარმებლებისა (ხალიჩების ქსოვა, მატყლეულის ქსოვა, აბრეშუმის დამუშავება. თიხის ნაკეთობის წარმოება, ხის დამუშავება და სხვა); ბ) იმ დარგებისათვის, რომელნიც თუმცა შემოტანილ ნედლეულს ამუშავებენ (ლითონის დამუშავება, სას.-სამ. ინვენტარის წარმოება, ჭრა-კერვა, საპნის დამზადება და სხვა), ხოლო რომელთაც უაღრესი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფო მრეწველობის ნაკეთობის ნაკლთა აღმოფხვრისა ან შესუსტებისა, უმუშევრობასთან ბრძოლისა და საექსპორტო შესაძლებლობის გაღიდების საქმეში.

3. ამისდამიხედვით, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტება, უპირველეს ყოვლისა, წარმართულ უნდა იქნეს: აზერბაიჯანის სსრ-ში—ხალიჩების ქსოვისა, აბრეშუმის ქსოვისა, ჭრა-კერვისა, ფეხსაცმლის ხელოსნობისა, სას.-სამ. ინვენტარის წარმოებისა, ხის დამუშავებისა, კერძოდ ფურგუნებისათვის, და საგლეხო მაზანდიანი საწარმოო საშენი მასალის წარმოების ხაზით; სომხეთის სსრ-ში—ბამბეულის ქსოვისა, კერამიული წარმოებისა, სატრიკოტაჟო წარმოებისა, ხალიჩების ქსოვისა, ჭრა-კერვისა, ფეხსაცმლისა, ხის დამუშავებისა, საშენი მასალის წარმოებისა და სას.-სამ. ინვენტარის წარმოების ხაზით; საქართველოს სსრ-ში—მატყლეულის ქსოვისა, სატრიკოტაჟო წარმოებისა, აბრეშუმის ქსოვისა, კერამიული წარმოებისა, ხის დამუშავებისა, ჭრა-კერვისა, ფეხსაცმლის ხელოსნობისა და ხალიჩების ქსოვის ხაზით.

#### ბ) გრძელვადიანი დაკრედიტება.

4. საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის (ქვედა ქსელისა ან რესპუბლიკანური კავშირების) გრძელვადიანი დაკრედიტების დროს დამაკრედიტებ-



ლი ორგანოები აუცილებლად განსაზღვრავენ გაცემული თანხების დანიშნულებას: კაპიტალური მშენებლობა, საბრუნავი სახსარი, ძირითადი და სპეციალური კაპიტალები,—იმ გაცხადებების მიხედვით, რასაც საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირები წარუდგენენ დამაკრედიტებელ ორგანიზაციებს.

საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის კავშირები დაკრედიტებულ უნდა იქნენ თანხების კაპიტალურ საქმეში მოთავსებისა და ძირითად, სპეციალურ და საბრუნავ კაპიტალებში ასიგნების გადადების ხაზით.

ქვედა ქსელს სახსარი უნდა მიეცეს, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალურ საქმეში მოსათავსებლად (გაწყობილობა, ხელახალი გაწყობილობა, კაპიტალური რემონტი) და, შეძლებისდაგვარად, აგრეთვე კაპიტალების (ძირითადი, სპეციალური და საბრუნავი) გასაძლიერებლადაც.

5. აზერბაიჯანის სსრ-სა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატები და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებები რესპუბლიკებში, კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების საერთო ფონდების სახსარის ყოველწლიური განაწილების დროს, გაითვალისწინებენ, დაწყებული 1928-29 წლიდან, საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის წილის გადიდების საჭიროებას.

6. რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, დაწყებული 1928/29 წლიდან, გაითვალისწინებენ ადგილობრივ ბიუჯეტებში საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციისათვის ასიგნების მოთავსების საჭიროებას.

7. ა/კფსრ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა, სოფლის ულარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ფონდების სახსარის განასიგნებისა და განაწილების დროს, ანგარიშში მიიღებს ამ სახსარის ნაწილის ულარიბესი შინამრეწველთათვის გამოყოფის საჭიროებას (ა/კ. სახალხო კომისართა საბუკოს მიერ ა/წ. თებერვლის 30-ს დამტკიცებული „სოფლის ულარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ფონდების დებულების“ თანახმად).

## 8. მოკლევადიანი დაკრედიტება.

### I. საერთო პირობები.

8. დაწესებულ იქნეს, რომ საჭიროა ბანკების საკრედიტო გეგმებში, დამოუკიდებელი კარის სახით, მოთავსებულ იქნეს საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის დაკრედიტების როგორც ჩვეულებრივი მოკლევადიანი, ისე მიზნობრივი დაკრედიტების ნაწილი.

9. დამყარებულ იქნეს საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის დაკრედიტების შემდეგი წესი:

ა) საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების დაკრედიტება სწარმოებს საბანკო კლიენტურის ბანკებს შორის გამიჯვნის პრინციპებზე შემდეგი წესით: სოფლად საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების დაკრედიტება თავმოყრილ იქნება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში; ქალაქად საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერატიული ორგანიზა-



ციები დაკრედიტებულ იქნებიან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკისა და სახელმწიფო ბანკის მიერ ურთიერთთან შეთანხმებით; საშენი მასალის მწარმოებელ საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციებს დააკრედიტებენ აგრეთვე კომუნალური ბანკებიც;

ბ) საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების დაკრედიტებას განახორციელებენ სახელმწიფო ბანკი და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი ურთიერთთან შეთანხმებით.

**შენიშვნა მე-4 მუხლისა.** მიზნობრივი დაკრედიტება განხორციელდება ინსტრუქციის მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პრინციპებზე.

10. რადგანაც მთელი რიგი უაღრესი მნიშვნელობის სასარეწაოების ჩვეულებრივი მოკლევადიანი საბანკო დაკრედიტება არ შეესაბამება საშინამრეწველო წარმოების პროცესებს და იგი უზრუნველ ვერ ჰყოფს სარეწავი კოოპერაციის სისტემისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების დამზადებას და გადამუშავებას, — აღიარებულ იქნეს, რომ საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების მიერ გაერთიანებული სასარეწაოების თვალსაჩინო ნაწილის დაკრედიტებისათვის საჭიროა შეფარდებულ იქნეს მიზნობრივი დაკრედიტების სისტემა.

## II. მიზნობრივი დაკრედიტება.

11. მიზნობრივი დაკრედიტება სწარმოებს შემდეგ საფუძველზე:

ა) ცალკე სასარეწაოების დაკრედიტება სწარმოებს იმ გეგმების მიხედვით, რაც წინასწარ შეთანხმებულ იქნება დასაკრედიტებელ ორგანიზაციისთან, რომელიც შეიცავს სამეურნეო პროცესის ყველა სტადიას (დამზადებას, გადამუშავებას, ვასალებას);

ბ) მიზნობრივი სისტემის დაკრედიტების დროს კლიენტურის გამიჯვნა სწარმოებს შემდეგი წესით: სოფლად სასარეწაოების დაკრედიტებას განახორციელებს სას.-სამ. კრედიტის სისტემა; საშინამრეწველო სასარეწაოები ქალაქად დაკრედიტებულ იქნებიან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის მიერ; საშენი მასალის მწარმოებელ სასარეწაოებს დააკრედიტებენ აგრეთვე კომუნალური ბანკებიც.

აღნიშნული ბანკები თავიანთ ჩვეულებრივ განცხადებაში (საკრედიტო გეგმაში) სახელმწიფო ბანკის მიერ კრედიტის მიცემის შესახებ გაითვალისწინებენ სახსარს, რაც საჭირო იქნება მიზნობრივი კრედიტის სისტემის მიხედვით სასარეწაოების დაკრედიტებისათვის.

გ) თვითეული ამა თუ იმ სასარეწაოს ყველა სტადიის დაკრედიტება კლიენტურის გამიჯვნის საერთო საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია „ბ“ პუნქტით, საკრედიტო ოპერაციაში მონაწილე სისტემის ყველა საფეხურისათვის (კავშირის ჩათვლით) თავმოყრილ იქნება ერთი-ერთ ბანკში;

დ) მიზნობრივი დაკრედიტებისათვის შესავარდებული უზრუნველყოფის ფორმები განისაზღვრება საწარმოო-სავაჭრო პროცესის სათანადო სტადიით.

12. სარეწავი კოოპერაციის მიზნობრივი დაკრედიტება უნდა სწარმოებდეს ბანკებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის აუცილებლად სპეცია-

ლურ შეთანხმებათა დადების საფუძველზე თვითეული კონკრეტული შემთხვევის გამო, თვით სარეწავი კოოპერაციის მიერ მოთავსებული სახსარის ანგარიშში მიღებით. საშინარეწველო-სასარეწავო კოოპერაციის ცალკე კავშირებს შორის მიზნობრივი დაკრედიტების თაობაზე დადებული შეთანხმებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიზნობრივი კრედიტების ისეთი ვადები და პირობები, რაც სრულად უზრუნველყოფს ბანკის ინტერესებს და, ამავე დროს, რაც შეიძლება მეტად უზრუნველყოფს ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების შინამრეწველამდე მიღწევას და აგრეთვე დამზადებული ნაეთობის გასაღებას.

13. მიზნობრივი დაკრედიტების სისტემა ვრცელდება შემდეგ სასარეწავოებზე: ხალიჩების ქსოვისა, მატლეულის ქსოვისა, აბრეშუმის ქსოვისა, ბამბეულის ქსოვისა, ხის დამუშავებისა, საშენი მასალის წარმოებისა, ფეხსაცმლისა და კრაკრვის ხელსნობისა და სას.-სამ. ინვენტარის წარმოებისა.

14. დაკრედიტების ვადები განისაზღვრება ცალკე რეწაობის ნამდვილი მოთხოვნილების მიხედვით; ამასთანავე, საორიენტო ვადებად მყარდება შემდეგი ვადები: ხალიჩების რეწაობისათვის 9—12 თვე; მატლეულის ქსოვისათვის—7 თვე; აბრეშუმის ქსოვისათვის—6 თვე; ბამბეულისათვის—3 თვე; ფეხსაცმლისათვის—4 თვე; ხის დამუშავებისათვის—3 თვე; მშენებლობისათვის—8 თვე და სას.-სამ. ინვენტარისათვის—4 თვე.

15. თანახმად სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1927 წ. აგვისტოს 4-ს თარიღისა და 199 №-ის დადგენილებისა „საშინამრეწველო-სასარეწავო კოოპერაციისათვის მიზნობრივი დაკრედიტების სისტემის შეფარდების წესის შესახებ“, მიენდოს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კონტორას, სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკისა და კომუნალური ბანკების სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემისათვის კრედიტებზე სპაროცენტო განაკვეთის რაოდენობის დაწესების დროს, ანგარიშში მიიღოს, რომ საშინამრეწველო-სასარეწავო კოოპერაციის დაკრედიტების წესის ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა არ უნდა გამოიწვიოს ამ კოოპერაციისათვის კრედიტის გაძვირება.

16. საშინამრეწველო-სასარეწავო კოოპერაციის მიზნობრივი დაკრედიტების განხორციელების დროს საჭიროა დამაკრედიტებელმა ორგანოებმა მისდიონ ცალკე საშინარეწველო კოოპერატიული სასარეწავოების მიზნობრივი დეცენტრალიზებული დაკრედიტების სანიმუშო ტიპიურ სქემას, რაც დართული აქვს სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1927 წ. აგვისტოს 4-ს თარიღისა და 199 №-ის დადგენილებას.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ჭუხეინოვი

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო  
სამმართველოს უფროსი **საფარიანი.**

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიჯეტო  
სამმართველოს უფროსის მაგიერ **წულუკიძე.**

1929 წ. იანვრის 19. ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 26-№-ში 1929 წ. თებერვლის 2-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

### 33. ა/კფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს;

1) დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ;

2) გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. ივნისის 9-ს დადგენილება—ა/კფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კფსრ კან. კრ. 1925 წ. მე.6 №-რი, მუხ. 446).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1928 წ. დეკემბრის 17. ტფილისი-სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ა/კფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

1. ა/კფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო არსებობს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და არის მუდმივი საბჭო ა/კფსრ ფიზიკური კულტურისა და მშრომელთა ფიზიკურად აღზრდის საკითხებისათვის.

2. ა/კფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) გაერთიანოს და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ცენტრალური დაწესებულებებისა, საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციების მოქმედებას ფიზიკური კულტურის სფეროში; განიხილოს და დაამტკიცოს ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობის გეგმები და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს არსებული სამეცნიერო-საკვლევ და სპეციალური დაწესებულებების მუშაობას მშრომელთა ფიზიკურად აღზრდის საქმეში; იქონიოს კონტროლი ამ მოქმედებისათვის; გამოიჩინოს ინიციატივა და დახმარება გაუწიოს ასეთი ტიპის ახალი დაწესებულებების დაარსების საქმეს და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ ორგანიზაციებისა და უწყებების მოქმედებას, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას მშრომელთა ფიზიკურად აღზრდისათვის—საპროგრამო-სამეთოდო და სამეცნიერო ნაწილში;

ბ) შეიმუშაოს საერთო გეგმები ფიზიკური აღზრდისა და განვითარების ყოველგვარი დაწესებულების მოქმედებისთვის; დაამტკიცოს პროგრამები, დებულებები და ინსტრუქციები, რაც განსაზღვრავს მშრომელთა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის განმტკიცების საქმის შინაარსსა და განხორციელების ფორმებს;

გ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს მშრომელთა ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო ტიპიურ ნაგებობათა და დაწესებულებათა გაწყობილობის გეგმები;

დ) მოაწყოს და ჩაატაროს ფიზიკური კულტურის საერთო ფედერატიული დღესასწაულები, გამოსვლები, შეჯიბრები და გამოფენები—ფიზიკური კულტურის აგიტაციისა და პროპაგანდის მიზნით; აგრეთვე ჩაატაროს ყრილობები და თათბირები ფიზიკური კულტურის თაობაზე და გააერთიანოს ამ მიმართულებით სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოქმედება;

ე) მოაწყოს და ჩაატაროს ფიზიკური კულტურის საერთაშორისო დღესასწაულები მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დამყარებისა და საბჭოთა ფიზიკური კულტურის იდეების პროპაგანდისათვის;

ვ) შეადგინოს წინასწარი დასკვნები და აზრები ფიზიკური აღზრდის ლიტერატურის შესახებ, რაც გამოსაცემად განზრახული ექნება სხვადასხვა უწყებასა, საწარმოს და გამომცემლობას, ფიზიკური კულტურის საკითხებისათვის კონტროლის გაწევისა და ამ საკითხების სისწორით დაყენებისათვის;

ზ) ხელმძღვანელობა და ინსტრუქტიობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოების მოქმედებას.

3. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შედგენილობაში შედიან წარმომადგენელი იმ უწყებისა და ორგანიზაციებისა, რომელნიც ფიზიკური კულტურის სფეროში მუშაობასაწარმოებენ, და აგრეთვე რესპუბლიკანური ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოებისა. წარმომადგენლებს პერსონალურად დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შედგენილობიდან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოჰყოფს ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომლის წევრთა რაოდენობა და პერსონალური შედგენილობა ყოველთვის ცალკე განისიზღვრება.

4. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო მთლად თავის მუშაობას მისთვის დაკისრებულ მიზანთა სფეროში განახორციელებს შემდეგი კომიტეტებისა და ბიუროების მეშვეობით:

ა) სამეცნიერო-სატეხნიკო კომიტეტი;

ბ) საორგანიზაციო-სააგიტაციო ბიურო;

გ) ჭადრაკ-შაშის ბიურო;

დ) საბავშვო ბიურო;

ე) სასოფლო ბიურო.

5. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოსთან არსებობენ შემდეგი დაწესებულებანი:

ა) სამკურნალო-საკონტროლო კაბინეტი საექსპერიმენტალო-სამეცნიერო ხასიათისა;

ბ) ფიზიკური კულტურის კურსები;

გ) გამომცემლობა ფიზიკური კულტურის საკითხებისათვის;

დ) სავაჭრო სექტორი

6. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და ბიუროები და აგრეთვე ამა დადგენილების მე-4 და 5 მუხლებში აღნიშნული დაწესებულებები მომქმედობენ უშუალოდ ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით, ამ უკანასკნელის მიერ მათთვის დამტკიცებული დებულებების თანახმად.

7. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს თავისი მიზნების განსახორციელებლად ჰყავს თავისი ტექნიკური აპარატი, რომლის შტატიც დამტკიცება არსებული წესისამებრ.

8. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს აქვს თავისი ბეჭედი ა/კსფსრ ღერბის გამოსახულობით.

### ს ა ხ ს ა რ ი .

9. ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს სახსარს შეადგენს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადადებული თანხები:

ა) სახარჯთაღრიცხვო წესით;

ბ) ერთდროული სუბსიდიების სახით;

აგრეთვე ის თანხები, რასაც მისცემენ თვით ა/კსფსრ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ოპერაციები და საწარმონი.

## დადგენილება № 107 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**34.** სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების წესებისა და სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის დანიშნულ სახსართა განაწილებისა და მოძრაობის გასამარტივებლად და დასაჩქარებლად ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი:

ა) წესები სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების შესახებ და

ბ) ინსტრუქცია სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის დანიშნულ სახსართა განაწილებისა და მოძრაობის გამარტივებისა და დაჩქარების შესახებ.

2. მომქმედ დადგენილებებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. თებერვლის 20-ს დამტკიცებულ წესებში „ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკში სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ფონდის შექმნისა და ხარჯვის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-რი, მუხ. 95) მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 7. ღარიბთა საკრედიტავ ფონდიდან სესხის პროცენტი ბოლო საფეხურის მსესხებლისათვის დაწესდება 4<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ის რაოდენობით წლიურად“.

II. ზემოაღნიშნული წესების მე-5, 6, 8, 9, 10, 11, 12, 18 და 19 მუხლები, აგრეთვე მე-13 მუხლის მე-2 აბზაცი შენიშვნიითურთ და მე-14 მუხლის მე-2 შენიშვნა გაუქმებულ იქნეს;

ბ) „სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის სამეურნეო დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-20 №-რი, მუხ. 234) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 25-ს თარიღისა და 76 №-ის დადგენილების 1-ლ მუხლში სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად დაწესებული შკალა შეიცვალოს სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ქვემოაღნიშნული წესების მე-3 მუხ. მიხედვით.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ ერთი თვის ვადაზე დადგენილებანი—რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ—სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ქვემოაღნიშნული წესების მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების მიხედვით.

4. სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან ინსტრუქციაში აღნიშნული კომისიების მოწყობისთანავე მოსპობენ თავიანთ მოქმედებას რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებთან არსებული ღარიბთა დაკრედიტების სახსარის გამანაწილებელი სხვადასხვა სპეციალური კომისიები და თათბირები.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს—მისცეს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს დირექტივები, რაც უზრუნველყოფს წინამდებარე გაზაფხულის კამპანიის დროს სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაუცადებელ დაკრედიტებას 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნული წესებისა და ინსტრუქციის მიხედვით.

6. მოეწყოს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყველა დაინტერესებული უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან თათბირი, რომელიც შეუთანხმებს და შეუკავშირებს ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ სოფლის უღარიბესი მოსახლეობის სამეურნეო დახმარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმებს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის გეგმებს ღარიბთა დაკრედიტებისას.

7. მიენდოს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს—მისცეს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს დირექტივი, რათა მათ შეუთანხმონ და შეუკავშირონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიერ ღარიბთა და-

კრედიტების გეგმებსა და მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგში მომქმედი ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ სოფლის უღარიბესი მოსახლეობის სამეურნეო დახმარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმები, რისთვისაც გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან, დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, მოწყობილი კომისიები, რომელთა შედგენილობაც შევსებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებით.

8. მე-6 მუხლის თანახმად ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან მოწყობილი თათბირი და მე-7 მუხ. გათვალისწინებული რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან არსებული გაფართოებული კომისიის შედგენილობა პირველ რიგში შეუთანხმებენ სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების გეგმებს შემდეგ ღონისძიებათ, რასაც ღარიბთა სამეურნეო დახმარებისათვის განახორციელებენ სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები:

- ა) მანქანებისა, იარაღისა, თესლისა, სასუქისა და წარმოების სხვა სახსარის მიწოდება;
- ბ) კონტრაქტაცია;
- გ) მიწათმოწყობა;
- დ) აგრონომიული ღონისძიებანი;
- ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობა კოლექტიურ მეურნეობათა, მარტივ საწარმოო შენაერთთა და სპეციალურ ამხანაგობათა შესაქმნელად;
- ვ) ღარიბთათვის მანქანებითა და იარაღით მომსახურეობის გაწევა საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და გამჭირავებელი პუნქტების ხაზით, აგრეთვე საგრილობელი პუნქტებით და სხვ. მომსახურეობის გაწევა;
- ზ) სამელიორაციო ღონისძიებანი;
- თ) გადასახლების ღონისძიებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუსეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. თებერვლის 21. ტფილისი-სასახლე.

### წ ე ს ე ბ ი

#### სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 7-ს დადგენილების შესასრულებლად და სოფლის უღარიბესი მოსახლეობის ცალკე მეურნეობათა და მათ მარტივ საწარმოო შენაერთთა უზრუნველსაყოფად წარმოების სა-

ქირო სახსარით და დაკრედიტების მოსაწესრიგებლად, გასაადვილებლად და გასამარტივებლად—მყარდება შემდეგი ძირითადი წესები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიერ სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის:

1. სოფლის ცალკე ღარიბი მეურნეობებისა და მათი მარტივი საწარმოო შენაერთების დაკრედიტებას მიზნად უნდა ჰქონდეს: მათი განვითარებისა, განმტკიცებისა და სასაქონლო მეურნეობებად გადაქცევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. დაკრედიტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს შესაძენი ქონების ნასყიდობის ღირებულებას, ხოლო, უკეთეს სესხი გაიცემა წარმოების სხვადასხვა საშუალების ერთად შესაძენად, ეს სესხი საკმარისი უნდა იყოს ამ საშუალებათა შეძენისათვის. უღარიბესი მეურნეობის დაკრედიტება ხელს უნდა უწყობდეს მიწის დამუშავებისა და მეურნეობის წარმოების რაც შეიძლება უფრო გაუმჯობესებული ტექნიკური და აგრიკულტურული მეთოდების განვითარებას.

2. ცალკე უღარიბესი მეურნეობებისა და მარტივი საწარმოო უღარიბესი შენაერთების (სამანქანო, სატრაქტორო, დასახლების ამხანაგობა, მთესველი ამხანაგობა, საშინამრეწველო-სასარეწაო არტელი და მარტივი სამელიორაციო ამხანაგობა, ღარიბთაგან მოწყობილი) დაკრედიტება, —იმ კოლექტიური მეურნეობების (კომუნა, სას.-სამ. არტელი, მიწის საერთო ძალით დამუშავებელი ამხანაგობა) გამოკლებით, რომელთაც სესხი კოლექტიურ მეურნეობათა კრედიტებიდან ეძლევათ, —სწარმოებს:

ა) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში არსებული ღარიბთა გრძელვადიანი დაკრედიტების სპეციალური ფონდიდან, რომელიც შექმნილია თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. თებერვლის 20-ს დამტკიცებული წესებისა სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ფონდის შექმნისა და ხარჯვის შესახებ;

ბ) რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკებში არსებული სპეციალური ფონდებიდან, რომლებიც შექმნილია ადგილობრივი ბიუჯეტებით გადაღებული ასიგნებისა, ბანკებისა და საკრედიტო კავშირთა მოგების არა ნაკლებ, ვიდრე 10%-ის რაოდენობით გადაღებული ანარიცხებისაგან და სხვა შემოსვლისაგან;

გ) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში არსებული სპეციალური ფონდებიდან, რომლებიც შექმნილია მათი მოგების არა ნაკლებ, ვიდრე 3%-ის რაოდენობით გადაღებული ანარიცხებისაგან, და სხვა შემოსავლისაგან;

დ) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის იმ საერთო სახსარიდან, რომლის რაოდენობასაც მთლად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისათვის ყოველწლივ განსაზღვრავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის დაკრედიტების გეგმით.

3. ღარიბთა დაკრედიტების სპეციალური ფონდებიდან და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საერთო სახსარიდან სესხი ამა თუ იმ ღონისძიებისათვის და ამა თუ იმ ვადით გაიცემა შემდეგი შეკლის თანახმად:

სესხის დანიშნულება.	სესხის ვადა	სესხის დაფარვის ვადა და რაოდენობა წლიურად
ა) მუშა-საქონლის შესაძენად . . . . .	6 წ.	მე-2 წ-დან; მე-2 წელს-10 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 3 წ.-15 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 4 წ.-20 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 5 წ.- 25 <sup>0</sup> / <sub>0</sub> და 6 წ.-30 <sup>0</sup> / <sub>0</sub> .
ბ) მსხვილფეხა ჯიშიანი და საყოლი (სარგო) საქონლის შესაძენად . . . . .	6 „	ი ს ე ვ ე.
გ) სას.-სამეურნეო ინვენტარისა, მანქანებისა და იარაღის შესაძენად . . . . .	—	ა/კ. ვაჭ. კ-ტის შეკლის მიხედვით ულარ. მეურნ-თვის
დ) წვრილფეხა ჯიშიანი და საყოლი (სარგო) საქონლის შესაძენად . . . . .	3 „	მე-2 წ დან; მე-2 წ.-40 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , და 3 წ.-60 <sup>0</sup> / <sub>0</sub> .
ე) წმინდა ხარისხოვანი თესლის შესაძენად და ბალახის თესვისათვის . . . . .	3 „	ი ს ე ვ ე.
ვ) კაპიტალური ხარჯებისათვის სპეციალური კულტურების განსავითარებლად (ვენახებისა, ხეხილის ბაღებისა, სანერგეებისა და სადღეღების გაშენება და სხვა) . . . . .	8 „	მე-5 წ-დან; მე-5 წ.-15 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 6 წ.-25 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 7 წ.-30 <sup>0</sup> / <sub>0</sub> და მე-8 წ.-30 <sup>0</sup> / <sub>0</sub> .
ზ) სას.-სამ. მნიშვნელობის შენობების ასაგებად (გომურები, სარაიები, ბელლები) . . . . .	8 „	მე-2 წ-დან; მე-2 წ.-5 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 3 წ.- 10 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 4 წ.-10 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 5 წ.-15 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 6 წ.-15 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , 7 წ.-20 <sup>0</sup> / <sub>0</sub> და 8 წ.-25 <sup>0</sup> / <sub>0</sub> .
თ) ინვენტარის შესაძენად და სას.-სამ. საშინამრეწველო სასარეწაოების გასაწყობად . . . . .	3 „	მე-2 წ-დან; მე-2 წ.-40 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , და 3 წ.-60 <sup>0</sup> / <sub>0</sub> .
ი) მინერალური სასუქისათვის . . . . .	3 „	1-ლი წლის შემდეგ-20 <sup>0</sup> / <sub>0</sub> , მე-2 წ.-30 <sup>0</sup> / <sub>0</sub> და მე-3 წ.-50 <sup>0</sup> / <sub>0</sub> .

4. გრძელვადიანი სესხი როგორც ფონდებიდან, ისე სას.-სამ. კრედიტის სისტემიდან მიეცემა ულარიბეს ინდივიდუალურ მეურნეობებს და მათ მარტივ შენაერთებს 4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით წლიურად და იგი გადახდევინებულ იქნება კაპიტალური ვალის ნაწილის დაფარვასთან ერთად ისეთი რაოდენობით, რაც ვალის ამ ნაწილზე მოდის დაფარვის მომენტისათვის.

ლარიბთა მოკლევადიანი დაკრედიტება სწარმოებს საერთო პირობებსა და საფუძვლებზე და არ მიიღება ლარიბთათვის მისაცემი კრედიტების თანხის ანგარიშში, რაც სპეციალურად გამოიყოფა სას.-სამ. კრედიტის სისტემის გეგმით.

5. სესხის გადასახადი შეიტანება წელიწადში ერთხელ და საამისო ვადა უნდა შესაბამებოდეს სას.-სამ. პროდუქციის გასაღების სეზონს.

6. სესხის ვადაზე გადაუხდელობისათვის არაპირიან მსესხებელს გადაჰხდება საურავი არა უმეტეს, ვიდრე იმ პროცენტის ნახევარი რაოდენობისა, რასაც იგი სესხისათვის იხდის.

7. სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ პირადი ნდობით ან გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების კომიტეტებისა და ლარიბ გლეხთა ორგანიზაციების რეკომენდაციით. ლარიბ მეურნეობათათვის მიცემული სესხი, თუ საჭირო იქნება, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მსესხებლის მიერ შესაძენი ქონების გირავნობით.

კატეგორიულად აკრძალულია ლარიბ მსესხებლისაგან კერძო პირთა და ინდივიდუალურ მეურნეობათა თავდებობის მოთხოვნა.

8. ლარიბ მეურნეობათა და მათ საწარმოო შენაერთთა დაკრედიტება საწარმოებს სას. სამ საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით. მსესხებელთა შორის სახსარის განაწილება დაეკისრება სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას ლარიბთა ადგილობრივი ჯგუფების მონაწილეობით.

9. პირველ რიგში დაკრედიტებულ უნდა იქნენ ლარიბთაგან მოწყობილი ის საგლეხო საწარმოო შენაერთები და ცალკე ლარიბი მეურნეობები, რომელნიც სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის წევრებად არიან.

10. რესპუბლიკანური სას.-სამ. ბანკები თავიანთ საკრედიტო გეგმებში ლარიბ მეურნეობათა და მათ საწარმოო შენაერთთა დაკრედიტებას გაითვალისწინებენ ცალკე, — სხვა სახის დაკრედიტებისაგან გარჩევით, — ლარიბთა კრედიტების სამიზნო დანიშნულებისა და რაოდენობის აღნიშვნით გეგმაში.

11. რესპუბლიკანური სას.-სამ. ბანკების მიერ წარდგენილი გეგმების თანხმად ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი დააწესებს სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ყოველწლიურ რაოდენობას სას.-სამ. კრედიტის სისტემის სახსარიდან, იმ კრედიტების ანგარიშში მიღებით, რაც უნდა გაიცეს ლარიბთა დაკრედიტების სპეციალურ ფონდებიდან; ამ რაოდენობას იგი შეიტანს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში, სას.-სამ. კრედიტის სისტემის საჯუშლო საკრედიტო გეგმის წარდგენასთან ერთად.

12. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ყველა საფეხურის ორგანიზაცია აწარმოებს, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით, განსაკუთრებულ აღნუსხვას ხელთქონებული და გამოყენებული სახსარისას როგორც სალარიზო გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდებიდან, ისე სას.-სამ. კრედიტის სისტემის საერთო სახსარიდან, რაც მის მიერ სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დასაკრედიტებლად წარიმართება.

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

**სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტებისათვის დანიშნულ სახსართა განაწილებისა და მოძრაობის გამარტივებისა და დაჩქარების შესახებ.**

ლარიბთა დაკრედიტების საქმის მოწყობისათვის, კრედიტების თავის დროზე წარიმართვისა და სისწორით განაწილებისათვის მყარდება შემდეგი წესი უღარიბეს მეურნეობათა დაკრედიტებისა.

1. ღარიბ მეურნეობებს და მათ შენაერთებს სესხი როგორც საბიუჯეტო ასიგნებებიდან, ისე სას.-სამ. კრედიტის სისტემის საერთო სახსარიდან მიეცემა ზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის წლიური გეგმით ღარიბთათვის დანიშნული ყველა კრედიტების 70%-ის რაოდენობით, ხოლო შემოდგომის თესვის კამპანიის პერიოდისათვის—დანარჩენი 30%-ის რაოდენობით.

2. ამისდა შესაბამისად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი მისცემს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით ღარიბთა ფონდში გადადებულ წლიურ ასიგნებათა არა ნაკლებ 70%-ისა, საკალენდრო ვადების მიხედვით, თებერვლის 15-დე და დანარჩენ ნაწილს—არა უგვიანეს აგვისტოს 1-სა. იმავე ვადაზე და იმავე პროპორციით რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკებს ეძლევათ ღარიბთა დაკრედიტების ფონდებში ადგილობრივი ბიუჯეტებით გადადებული ასიგნებები.

სხვა დანარჩენი ანარქიკები და შემოსავალი,—რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში, რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებში და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში არსებული სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესებით,—გადაცემულ უნდა იქნეს საღარიბო ფონდებში ყოველწლიურად არა უგვიანეს ივნისის 1-სა.

3. ყველა იმ თანხას, რაც ბიუჯეტით ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში არსებულ საღარიბო ფონდში შევა, სამი დღის ვადაზე ამ თანხის ფაქტიურად მიღების დღიდან, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი გადასცემს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს.

4. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საერთო სახსარიდან გადადებული საღარიბო კრედიტები, რაც გათვალისწინებულია წლიური გეგმით, გამოყოფილ უნდა იქნეს 70%-ის რაოდენობით I-ლი და მე-II კვარტალის გეგმის მიხედვით და გაიცეს არა უგვიანეს თებერვლის 15-სა, ხოლო 30%-ის რაოდენობით მე-III და IV კვარტალის გეგმების მიხედვით და გაიცეს არა უგვიანეს აგვისტოს 1-სა.

5. ავტონომიურ რესპუბლიკებზე და ოლქებზე, აგრეთვე მაზრებზე და მათ შიგნით სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე ყველა კრედიტების განაწილებისათვის რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან მოეწყობა კომისიები, რომლებშიაც შევლენ წარმომადგენელნი სასოფლო-სამეურნეო ბანკებისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრებისა, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებისა და გლეხთა საუთიერთო დახმარების საზოგადოებათა კომიტეტებისა—თითო თითო ყველა აღნიშნული დაწესებულებისაგან. საბიუჯეტო წლის დასაწყისში, ხოლო არა უგვიანეს ნოემბრის 15-სა, ეს კომისიები განსაზღვრავენ ყველა იმ საღარიბო კრედიტების განაწილების კოეფიციენტებს, რაც ზაფხულის კამპანიისათვის წარმართება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, აგრეთვე მაზრებში და მათ შიგნით ცალკე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში; სამისოდ გამიყენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ცნობები და

აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების ცნობები; თანაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა კრედიტების უფრო ნაკლებად ღონიერ რაიონებში წარმართვა.

კოეფიციენტები დაწესდება თვითეული სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობისათვის კრედიტების საერთო თანხასთან პროცენტული შეფარდებით, რაც რესურსად პუბლიკაში ირიცხება.

შემოდგომის კამპანიისათვის საღარიბო კრედიტების განაწილების კოეფიციენტები განისაზღვრება იმავე წესით და იმავე კომისიების მიერ ყოველწლიურაუგვიანეს ივნისის 1-სა.

**შენიშვნა.** იმ ავტონომიურ რესპუბლიკაში და ოლქში, სადაც არსებობს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირი, კოეფიციენტს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობისათვის დააწესებს ამ ბანკთან (კავშირთან) არსებული სპეციალური კომისია, რომელიც მოწყობილ იქნება იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით, როგორც რესპუბლიკანურ ბანკთან არსებული კომისიის შედგენილობა.

6. რესპუბლიკანურ ბანკებთან არსებული კომისიების მიერ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათათვის შედგენილ კოეფიციენტებს დაამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირები არაუგვიანეს დეკემბრის 1-სა—გაზაფხულის კამპანიის კრედიტებისათვის და არაუგვიანეს ივლისის 15 სა—შემოდგომის კამპანიის კრედიტებისათვის.

7. რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები, —წლიური გეგმით გათვალისწინებული საღარიბო კრედიტების საერთო თანხის მიხედვით (როგორც სპეციალური ფონდებიდან, ისე სას.-სამ. კრედიტის სისტემის საერთო სახსარიდან) და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების მიერ დამტკიცებული, ამ კრედიტების სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებზე განაწილების კოეფიციენტების საფუძველზე, —აცნობებენ, არაუგვიანეს დეკემბრის 5-სა, თვითეულ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობას იმ თანხის საორიენტო რაოდენობას, რაც უნდა მიეცეს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობას ღარიბთა დაკრედიტებისათვის გაზაფხულის კამპანიაში, და არა უგვიანეს ივნისის 20-სა —შემოდგომის კამპანიის საღარიბო კრედიტების შესახებ.

8. სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა, სას.-სამ. ბანკისაგან ღარიბთა კრედიტების საორიენტო რაოდენობის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ შეადგენს იმ ღარიბ მეურნეობათა სიას, რომელნიც დაკრედიტებულ უნდა იქნენ პირველ რიგში და განსაზღვრავს სიაში შეტანილი თვითეული ღარიბი მეურნეობისა და ღარიბი შენაერთისათვის სესხის დანიშნულებასა და რაოდენობას.

დასაკრედიტებელ ღარიბ მეურნეობათა და მარტივ შენაერთთა (სამანქანო, სატრაქტორო, დასახლების ამხანაგობა, მთესველი ამხანაგობა, საშინამრეწველო-სასარეწაო არტელი და მარტივი სამელიორაციო ამხანაგობა) რიგობითი საკანდიდატო სიების შედგენას და თვითეულ მათგანისათვის კრედიტის დანიშ-

ნულებისა და რაოდენობის განსაზღვრას აწარმოებს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა, რომელიც საამისოდ მხედველობაში მიიღებს შემდეგს:

ა) ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობათაგან, როგორც წესი, სიაში შეიტანება ისეთი მეურნეობა, რომელიც განთავისუფლებულია სას.-სამ. გადასახადისაგან როგორც ნაკლები ძალოვნების მქონე მეურნეობა (დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით);

ბ) ღარიბი მარტივი საწარმოო შენაერთი (სამანქანო. სატრაქტორო, მთესველი ამხანაგობა, დასახლების ამხანაგობა, საშინაპრეწველო-სასარეწაო არტელი და მარტივი სამელიორაციო ამხანაგობა) სიაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, უკეთეს იგი მოწყობილია მარტოდენ ღარიბთაგან და მის წევრთა შორის არ არის ისეთი მეურნეობა, რომელიც ეკუთვნის სხვა სოციალურ წრეს და დაბეგრულია სას.-სამ. გადასახადით. ღარიბთა შენაერთების სია, რომელშიაც აღინიშნება თვითეული მათში გაერთიანებული მეურნეობის კონტაქტი მდგომარეობა, უნდა ინახებოდეს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის საქმეებში და წარდგენილ იქნეს გასასინჯად ამხანაგობის რევიზიისა და გამოკვლევის დროს;

გ) რიგობითი საკანდიდატო სიების შედგენის დროს ამხანაგობის გამგეობა ღონისძიებას მიიღებს, რათა უზრუნველყოფილ იქნენ კრედიტით მთლად მისი მოქმედების რაიონის ღარიბი მეურნეობანი, კერძოდ—მოზორებით მდებარე სოფლების ღარიბი მეურნეობანი;

დ) ის ინდივიდუალური ღარიბი მეურნეობანი და ამ მეურნეობათა მარტივი შენაერთნი, რომელნიც სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის წევრნი არ არიან, შეიძლება შეტანილ იქნენ რიგობითი სიაში იმ პირობით, რომ შემდგომ ისინი კოოპერატიულად იქნებიან მოწყობილნი ღარიბთა კოოპერატივის ფონდის ხარჯით;

ე) რიგობითი სიების შედგენის მუშაობას წინ უნდა უძღოდეს იმ ღარიბ მეურნეობათა საერთო სახელობითი სიების შედგენა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ კრედიტი საღარიბო კრედიტებიდან. ასეთ სახელობით სიებს იმ მეურნეობებისას, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ კრედიტი საღარიბო კრედიტებიდან, შეადგენს დროზე სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა და დროზევე განიხილავს ღარიბთა საერთო კრება ამხანაგობის წევრთა შედგენილობიდან.

9. ღარიბ მეურნეობათა და მათ მარტივ შენაერთთა რიგობითი საკანდიდატო სიების შედგენის შემდეგ, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა წარუდგენს ამ სიებს განსახილველად და დასამტკიცებლად სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობასთან ადგილობრივ არსებულ ღარიბთა ჯგუფს, ხოლო, უკეთეს ღარიბთა ჩამოყალიბებული ჯგუფი არ არსებობს, ამხანაგობა მიიღებს ღონისძიებას ასეთი ჯგუფის მოსაწყობად.

ღარიბთა ჯგუფები სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობასთან მოეწყობა იმ ღარიბ გლეხთაგან, რომელნიც ამხანაგობის გამგე ორგანოების (გამგეობისა, საბუკოს, სარევიზიო კომისიის) წევრები არიან და იმ ღარიბთაგან, რომელნიც ამხანაგობის წევრთა რწმუნებულნი არიან სოფლებში და თავის მუშაობაში მჭიდრო კონტაქტი აქვთ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან.

10. ლარობთა ჯგუფს შეუძლიან შესცვალოს კრედიტის მიღების რიგი, რაოდენობა და დანიშნულება; აგრეთვე შესცვალოს გამგეობის მიერ რიგობით სიაში შეტანილი ლარობი მეურნეობები და მათი შენაერთები სხვებით, სალარობო ბი კრედიტების მიღების უკულების მქონეთაგან. ლარობთა ჯგუფის მიერ წარდგენილი ყველა ცვლილება შეიტანება ლარობთა ჯგუფის სხდომის ოქმში და პრეზიდენტის ხელის მოწერით გადაეცემა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას.

უკეთეს ლარობთა ჯგუფის (მე-9 და 10 მუხ. აღნ.) გადაწყვეტილება ან ლარობთა კრების (მე-8 მუხ. „ე“ პუნ.) გადაწყვეტილება, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობისა ან სხვა გამგე ორგანოს აზრით, ეწინააღმდეგება ლარობთა დაკრედიტებისა და სალარობო კრედიტების ცალკე მსესხებელთა შორის განაწილების საკითხების გამო არსებულ ძირითად დირექტივებს, — სადავო საკითხები საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაიტანება რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

11. იმის შემდეგ, რაც ლარობთა ჯგუფი დამტკიცებს ლარობ მეურნეობათა და მათ მარტივ შენაერთთა რიგობითი საკანდიდატო სიებს ლარობთა კრედიტების მთელი საორიენტო თანხის რაოდენობით, — სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა ჯამს გაუქმებს კრედიტებს ცალკე დანიშნულებათა მიხედვით და გაუზღავნის სასოფლო-სამეურნეო ბანკს საჯუმლო განცხადებას სალარობო კრედიტების თაობაზე და თანაც აღნიშნავს:

ა) სიაში შეტანილ ლარობ მეურნეობათა რაოდენობას და ცალკე მარტივ შენაერთთა რაოდენობას;

ბ) კრედიტების საერთო თანხას მათთვის — თვითეული ცალკე დანიშნულების მიხედვით;

გ) სასურველ დროს ფაქტიურად სახსარის მიღებისას აღნიშნული დანიშნულებისათვის.

ამ წესით შედგენილ განცხადებას სალარობო კრედიტების შესახებ გაზაფხულის კამპანიისათვის ამხანაგობა ვაჭვავენის ბანკში არაუგვიანეს იანვრის 20-სა, ხოლო შემოდგომის კამპანიისათვის — არაუგვიანეს ივლისის 20-სა.

12. სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების განცხადებათა თანახმად და მათში ნაჩვენებ დანიშნულებათა მიხედვით რესპუბლიკანური ბანკები მისცემენ სესხს განცხადების გამომგზავნელ ყველა სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას 7 დღის განმავლობაში სალარობო კრედიტების ამიერკავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკიდან და სხვა წყაროების ფაქტიურად მიღების დღიდან. ამავე დროს ბანკები ღონისძიებას იხმარებენ, რათა დაუყოვნებლივ მიიღონ განცხადებანი ყველა იმ ამხანაგობისაგან, რომელსაც ჯერ კიდევ განცხადება არ წარუდგენია.

13. ის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, — რომელიც მიიღებს თავისი განცხადების თანახმად სესხს ლარობ მეურნეობათა და მათ მარტივ შენაერთთა დაკრედიტებისათვის, — მოვალეა ორი კვირის ვადაზე გაანაწილოს ეს სესხი სიაში შეტანილ ლარობ მეურნეობათა და მათ მარტივ შენაერთთა შორის. ამასთანავე, ამხანაგობის გამგეობა მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას, რათა ფულადი სესხი გადაიქცეს ნატურალურ სესხად ლარობ მეურნეობათათვის, მათივე მინდო-



ბლესამებრ, საქირო იარაღისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებათა შექმნით, რისთვისაც დანიშნულია სესხი (მუშა-საქონელი, საყოლი (სარგო) საქონელი, სას.-სამ. მანქანები, თესლეული, სასუქი და სხვ.); აგრეთვე მიიღებს საკონტროლო ღონისძიებას, რათა ხელთმიცემული ფულადი სესხი გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ (საქონლისა, თესლისა, სასუქისა, საშენი მასალისა და სხვ. შესყიდვის ფაქტიური შემოწმება).

უკეთეს სიების მიხედვით სესხის გაცემის დროს აღიძვრის რაიმე გაუგებრობა, იგი გადასწყდება ამხანაგობის გამგეობის მიერ ღარიბთა ჯგუფის მონაწილეობით.

14. როგორც განცხადებისათვის სიების შედგენის დროს, ისე სიების მიხედვით სესხის გაცემის დროს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობამ არ უნდა გამოიყენოს პრინციპი საღარიბო კრედიტების თანაბრობით განაწილებისა და იგი მოვალეა სესხის რაოდენობა და დანიშნულება განსზღვროს ინდივიდუალურად თვითეული ღარიბი მეურნეობისა და მარტივი შენაერთისათვის, რისთვისაც მხედველობაში უნდა ჰქონდეს აუცილებლობა—რაც შეიძლება სავსებით დააკმაყოფილებულ იქნეს ამ მეურნეობისა და შენაერთის საპირველრიგო საწარმოო საქიროება მათი განმტკიცებისა და მესაქონლე მეურნეობად გადაქცევის მიზნით. ღარიბ მეურნეობათა სესხის დანიშნულება და ვადები სრულიად უნდა შეესაბამებოდეს ა/კატსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების წესებით განსაზღვრულ შკალას.

15. სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები და რესპუბლიკანური სას.-სამ. ბანკები წარადგენენ,—ამიერკავკასიის სას.-სამ. ბანკის მიერ გამოცემული ფორმებისა და ინსტრუქციის მიხედვით,—სანაწევარწლო (აპრილის 1-თვის და ოქტომბრის 1-თვის) ანგარიშგებას ყველა საღარიბო კრედიტების გამოყენების შესახებ.

16. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის იმ დაწესებულებათა მომუშავენი, რომელნიც ღარიბ მეურნეობათ აკრედიტებენ, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით სესხის თავის დროზე გაუცემლობისათვის, სახსარის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, სესხის რაოდენობისა და ვადების შემცირებისათვის, გადასახდევინებელი პროცენტის გადიდებისათვის, საღარიბო კრედიტების მიზნობრივი დანიშნულებისა და სოციალური მიმართულების შეცვლისათვის.

17. სას.-სამ. ბანკებში თავმოყრილია მთელი ხელმძღვანელობა ღარიბთა დაკრედიტების საქმისა და სას.-სამ. კრედიტის სისტემის საინსპექტორო და საინსტრუქტორო აპარატები ვალდებულ არიან რევიზიებისა და გამოკვლევების დროს ზედმიწევნით შეამოწმონ სოფლის უღარიბესი მოსახლეობისათვის დანიშნული კრედიტების თავის დროზე წარმართვა და სათანადოდ გამოყენება სოფლის უღარიბესი მოსახლეობის დაკრედიტების წესებისა და ამა ინსტრუქციის თანახმად.